

## განმარტებითი ბარათი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად  
გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტი

- ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ  
ა.ა) პროექტის მიღების მიზანი და მიზანი:

საკითხის მიღება განაპირობა, საქართველოს კანონმა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსისა“. რომელმაც დაადგინა, რომ მუნიციპალიტეტების მიერ უნდა მოხდეს ახალ სამშენებლო კოდექსთან შესაბამისობაში მოვყანა მუნიციპალიტეტის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების. აღნიშნულმა კოდექსმა გარდამავალი დებულებების სახით დაადგინა, რომ 2019 წლის 3 ივნისამდე დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. 2019 წლის 3 დეკემბრამდე უზრუნველყოფილ იქნეს ასეთი გეგმების ამ კოდექსისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობა და შესაბამისი გეგმის სახით დამტკიცება. 2019 წლის 3 ივნისამდე დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების გეგმარებითი დავალების საფუძველზე შესაბამისი გეგმის შემუშავება შეიძლება დასრულდეს აღნიშნული გეგმარებითი დავალების დამტკიცების მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთი გეგმის დამტკიცებიდან 1 წლის ვადაში უზრუნველყოფილ იქნეს მისი ამ კოდექსისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობა და შესაბამისი გეგმის სახით დამტკიცება.

პროექტის მიზანია შემდეგი სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება:

ა) „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის N50 დადგენილება;

ბ) „საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის დროებითი სარგებლობის წესი“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის N6 დადგენილება;

გ) „ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 30 ივლისის N27 დადგენილება;

გ) „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში მიღებული III და IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შენობების ფასადების საგარანტიო პერიოდის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 3 მაისის N25 დადგენილება;

დ) „ქ. ბათუმის ტერიტორიაზე გარე რაკლამის განთავსების საწებართვო მოწმობის ფორმის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 5 აპრილის N18 დადგენილება;

ე) „თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობის სფეროში დამატებითი საორგანიზაციის წესების განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 30 ივლისის N12-4 დადგენილება;

ვ) „გარე რეკლამის განთავსების წებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების წებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის N36 დადგენილება;

ზ) „შენობა-ნაგებობათა ფასადებზე (ლიობებზე, ვიტრუულზე) შესაბამისი საქმიანობის ან/და შესაბამისი სასაქონლო ნიშნის აღმნიშვნელი წარწერის განთავსების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ” „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 15 ივლისის N40 დადგენილება.

დადგენილება ამოქმედდება 2019 წლის 03 დეკემბრიდან.

ა.8. პროექტის მირითადი არსი:

ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების მიღება

გ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

გ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

გ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან: დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
ქალაქანვითარებისა და ურბანული  
პოლიტიკის სამსახურის უფროსი

მირიან მეტრეველი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №

— აგვისტო 2019 წელი

ქალაქი ბათუმი

ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად  
გამოცხადების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის  
პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა  
და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის  
საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის N50 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: საქართვე-  
ლოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 24/09/2012, სარეგის-  
ტრაციო კოდი: 330090020.35.132.016140);

ბ) „საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის დროებითი სარგებლობის წესი“ ქალაქ  
ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის N6 დადგენილება (გამოქ-  
ვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების  
თარიღი: 27/03/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016310);

გ) „ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემი-  
სათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“  
თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 30 ივლისის N27 დადგენი-  
ლება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge),  
გამოქვეყნების თარიღი: 02/08/2013, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.132.016178);

დ) „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში მიღებული III  
და IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შენობების ფასადების საგარანტიო  
პერიოდის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012  
წლის 3 მაისის N25 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო  
მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 10/05/2012, სარეგისტრაციო კოდი:  
010250020.35.132.016115);

ე) „თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობის სფეროში  
დამატებითი საორგანიზაციო წესების განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის -  
ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 30 ივლისის N12-4 დადგენილება (გაზეთი „აჭარა“ №111,  
02.08.2007 წ., გვ: 10).

ვ) „შენობა-ნაგებობათა ფასადებზე (ლიობებზე, ვიტრაჟებზე) შესაბამისი საქმიანობის ან/და შესაბამისი სასაქონლო ნიშნის აღმნიშვნელი წარწერის განთავსების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 15 ივლისის N40 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 21/07/2011, სარეგისტრაციო კოდი: 330130000.35.132.016067).

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 03 დეკემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე